სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი 2020 წლის 10 ნოემბრის N2-217 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სკოლის მიერ ელექტრონული ტენდერის საშუალებით საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით სატენდერო კომისიის და კომისიის აპარატის სხდომის

ოქმი №1

11 ნოემბერი 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი გარსიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

შორენა მათიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის ბუღალტერი;

ირმა კობახიძე - სატენდერო კომისიის წევრი სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი;

ხათუნა უზნაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

ნანა კაკაბაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის მასწავლებელი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის ფარგლებში შენობაში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემის შეკეთება/რეაბილიტაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის (დანართი) (CPV:50720000 - ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება). სატენდერო კომისიის აპარატის მიერ აღნიშნული შესყიდვის ფასი იქნა მოკვლეული, რის შედეგადაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა **21 770.00** (ოცდაერთი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე:	**გიორგი გარსიძე** -
კომისიის წევრები:	**შორენა მათიაშვილი** -
	ირმა კობახიძე -
კომისიის აპარატის წევრები:	**ხათუნა უზნაძე** -
	ნანა კაკაბაძე-